

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

### შუახვევის მუნიციპალიტეტში მშენებარე ბაგა-ბაღების შესახებ

1. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წელს დაიწყო სოფელ ფურტიოს ბაგა-ბაღის მშენებლობა, რომლის საპროექტო ღირებულება იყო 160.000 ლარი. 2015 წლის 5 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება №120 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ შპს „ზაზო“-სთან. 2015 წლის 29 დეკემბერს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მშენებელს გაუგრძელდა ხელშეკრულება 2016 წლის 16 აგვისტომდე. ამჟამად მშენებლობა დასრულებულია. შპს „ზაზო“-მ 2016 წლის 8 ივლისამდე გადაიხადა პირგასამტეხლო 22043 ლარის ოდენობით.
2. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლის 22 აპრილს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სოფელ შუბნის საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობაზე. საპროექტო ღირებულება იყო 130.500 ლარი. 2015 წლის 11 ივნისს გაფორმდა №126 ხელშეკრულება შპს „ზაზო“-სთან 130.500 ლარზე. 2015 წლის 28 დეკემბერს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაუგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 01 ივლისამდე. ამჟამად მშენებლობა დასრულებულია. ლევან სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიუროს დასკვნის საფუძველზე მოხდება მშენებლობის მიღება. მშენებელს 2016 წლის 04 აპრილამდე დაეკისრა პირგასამტეხლო 10.800 ლარის ოდენობით. პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება.
3. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლის 19 ივლისს გაფორმდა №131 ხელშეკრულება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ ი/მ „დაჩი ბოლქვაძე“-სთან. პროექტის ღირებულება იყო 114.450 ლარი. სახელშეკრულებო ღირებულება 78.999 ლარი. სამშენებლო სამუშაოების გაჭიანურების გამო მშენებელს 2015 წლის 30 ნოემბერს შეუწყდა ხელშეკრულება. ამ პერიოდისთვის მას შესრულებული ჰქონდა სამუშაოთა მთლიანი ღირებულების 11 პროცენტი. დაეკისრა პირგასამტეხლო 7.721 ლარის ოდენობით. გამოცხადდა ახალი ტენდერი. 2016 წლის 21 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება №174 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ შპს „აკვედუკთან“. სახელშეკრულებო ღირებულება 99.999 ლარი. შესრულებულია სამუშაოთა 25 პროცენტი. ხელშეკრულებით მშენებლობის დასრულების ვადაა 2016 წლის 31 ოქტომბერი. მშენებლობა გრძელდება.

ამასთან, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, 2016 წელს შენდება სოფელ ჩანჩხალოს ბაგა-ბაღი. საპროექტო ღირებულებაა 150.000 ლარი. გამოცხადებულია ტენდერი. ასევე მალე დაიწყება ხიჭაურის ბაგა-ბაღის მშენებლობა, რომლისთვისაც გამოყოფილია 100.000 ლარი.